

ფასი 8 კაპ.



№ 1 (24)

კახ. „კომუნისტი“-ს სალიტ.სამხატვრო ორგანიზაციის დახატვა

№ 1 (24)

# რომელია ჯაშუში?

ი. გლისტონის მოთხრობა

1

— მაშ ასე. ამ მტკიცე გადაწყვეტილებით ვათავებთ ჩვენს თათბირს,— განაცხადა კარპინსკიმ. სხვადასხვა ქვეყნიებიდან ჩამოვედით ჩვენ აქ, რომ შეხვედროდით ერთმანეთს თავიანთი ორგანიზაციების დავლებით. ჩვენ შევიკრიბეთ პირველად და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს შრომას ამოთ არ ჩაუვლია. მართალია ხიფათი შესაძლებელია დაგვატყდეს თავს. მაგრამ რა? ჩვენ ერთმანეთს უკვე გაუზიარეთ ჩვენი აზრები, გამოვიტანეთ დადგენილება, შევიმუშავეთ მომავალი ბრძოლის ტაქტიკა.

მან ხელი ჩამოსდო მაგიდის კიდეზე და გაუღიმა თავის თანამოსაუბრეებს. კარპინსკის ნაზი ღიმილი ჰქონდა. ის საუცხოოდ უკრავდა პიანინოზე და ამავე დროს კაპიტალისტური წყობილების ძალით დამხობის უკიდურესი მომხრე და თავდავიწყებული აგიტატორი იყო.

— ეს მართალია,— სთქვა რობერსონმა,— უტახანს წარმომადგენელმა. ჩვენი ხანმოკლე ნაწინაობის განმავლობაში ჩვენ მართალია კარგათ ვერ შევისწავლეთ ერთმანეთი, მაგრამ მინც გამოვარკვიეთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხები და შევიმუშავეთ გეგმა.

— უკვე გვიანია,— დაასკვნა ჯოზეფსმა, ხოლო დიდი წარმომადგენელმა.— ყველა ჩვენი დადგენილება საუცხოვოა. დაუბრუნდეთ ჩვენს საქმეებს. თქვენ, ახ. კარპინსკი, ფიქრობთ, რომ არსებობს საფრთხე...

— ეჭვს ვარეშეა,— ჩაერია ობურნი, ირლანდიის წარმომადგენელი.— და ვისაც ჩვენს შორის სუსტი ნერვები აქვს, სჯობს გავვეცალოს.

— რასაკვირველია. საფრთხე არსებობს,— ხაზგასმით აღნიშნა კარპინსკიმ და ჩაფიქრდა. იცის თუ არა რაიმე ჩვენი თათბირის შესახებ პოლიციამ?— ეჭვს ვარეშეა, იცის. გვადევნებენ თუ არა თვალყურს? სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კი— უფრო მეტი: თვით ჩვენ ვადევნებთ თვალყურს იმას, თუ როგორ გვადევნებენ თვალყურს ისინი. თვალყურს ვადევნებთ პოლიტიკურ აგენტს, ინსპექტორ დაგასს; შემიძლია დაგავშვიდოთ თქვენ: საქმე საიმედო ხელშია. რასაკვირველია, მგლომარობა მეტად სახიფათოა და ცენტრალურმა კომისიამ ეს გათვალისწინა. ჩვენი ორგანიზაციის უმადლესი ორგანი დიდ მნიშვნელობას აძლევს ჩვენს შეხვედრას და მან თავის ერთ წევრს დაავალა თვალყურის დევნება პოლიციისათვის. ფერარის, რომელსაც დაავალეს

ეს საქმე, ვერ მოატყუებს ვერაფერს, თუ გინდინსპექტორი დაგვასივ. ამიტომ შეგიძლიათ დამზიდებულ იყვნეთ. საშიშია არაფერია.

ამდროს გაისმა ტელეფონის ზარის წკრიალი— ობურნი, რომელიც ყველაზე ახლო იყო ტელეფონთან, აიღო სასმენი მილი.

— ალბათ ფერარის რომელიღაც აგენტი იქნება,— სთქვა რობერსონმა.

— ამ დროს? არ ვფიქრობ,— უპასუხა ჯოზეფსმა.

— თქვენ ვთხოვენ, ახ. კარპინსკი,— სთქვა ობურნი.

კარპინსკიმ აიღო სასმენი მილი და დაიწყო ლაპარაკი თავისი სამშობლო ენაზე.

— მე ეს არ მომწონს,— სთქვა ჯოზეფსმა ხმადაბლა ისე, რომ ხელი არ შეეშალა კარპინსკისათვის.

რობერსონმა დაცინით შეხედა მას.

ჯოზეფსმა თავისი დაგლეჯილი ქუდი ჩამოიფხატა თავზე; ობურნი მხრები ახნიქა და პაპიროსი ააბოლა; რობერსონმა ფეხები მაგიდაზე დასდო.

ყველანი ელოდნენ.

2

დაჰკრა საღამოს რვა საათმა ჯერ ქალაქის ერთ ტაძარში, შემდეგ მეორეში, მესამეში. ჩამოვარდა სიჩუმე, რომელსაც არღვევდა მხოლოდ კარპინსკის ცოცხალი აღელვებული ხმა. გაათვა ლაპარაკი და ჩამოკიდა ტელეფონის მილი. ნელის ნაბიჯით მიუახლოვდა მაგიდას, ჩაფიქრებული ხელებს ისრესდა.

— ფერარის მელაპარაკებოდა... ის ამბობს... არ შეზინდეთ კი ამხანაგებო... მან საშინელი რამ აღმოაჩინა. ჩვენი კრების ადგილი გაუგია პოლიციას, რომელსაც უნდა ჩვენ დაგვაპტიმროს.

— ამ სახლს უთვალთვალენ?— შეეკითხა რობერსონი.

— ეს არამზადა დაგვასი,— მაგიდაზე თითების კაქუნით განაგრძო კარპინსკიმ,— უფრო ეშმაკი აღმოჩნდა, ვიდრე ფერარის. მას სურს მოულოდნელად ჩაგვიდოს ხელში ყველანი, მთელი ჩვენი საბუთებით.

— აი, ის საძაგელი!— ბრაზბორული წამოვარდა ზეზე რობერსონი.

— ასე, ასე... აუღელვებლად წარმოსთქვა ობურნი. თუ მდგომარეობა ასეთი საშიშია, ჩვენ მოვსობთ ყველა საბუთებს. რაც შეეხება აქ წარმოთქმულ სიტყვებს, რადგან ის გაიძვერა პოლიციელი აქ არ არის...

— საქმეც იმაშია,— შეაწყვეტინა კარპინსკიმ,— რომ ის აქ არის, ამ ოთახში, ჩვენს შორის.

ყველამ მიმოიხედა, თვალი მოავლო ოთახის ყველა კუნძულს.

— სად? სად?— წამოიძახა ჯოზეფსმა.

— ამ ოთახში,— განაგრძო კარპინსკიმ,— ნუ დაიბნევით. ფერარის სწორი და უტყუარი ცნობები მოგვობა. ჩვენ ოთხვენი აქ უნდა შეხვედროდით ერთმანეთს. დაგვასმა დაპატიმრება ერთი ოთხთაგან, გაიგო რაც მას ესაჭიროებოდა და დაპატიმრებულის სახელით მივიდა კრებაზე.

ობურნი მოუთმინლათ წამოიძახა:

— ვიდან დაპატიმრეს?

— მე რომ შემედლოს ამის თქმა...? უპასუხა კარპინსკიმ.

— ფერარისმაც არ იცის ეს. ეს ისე მოხერხებულათ მოსწრეს და ისე საიდუმლო... მაგრამ ფერარის არ ძინავს. ჩვენ შეგვიძლია მივენდოთ მას. ჩვენ ის არ მიგვატოვებს.

— როგორ, ახ. კარპინსკი თქვენ გინდათ სთქვათ, რა აქ, ჩვენს მაგიდას უზის პოლიციის ჯაშუში?— წაილულულა ჯოზეფსმა.

— ასე მითხრა ფერარის... შეიძლება თქვენ იყოთ ჯაშუში, ან ობურნი, რობერსონი, ვინმე ჩვეთაგანი.

ყველანამ შიშით შეხედეს ერთმანეთს.

— შესაძლებელია, რომ ეს სიმართლე იყოს?— სთქვა რობერსონმა,

— ასე ამტკიცებს ფერარის,— უპასუხა კარპინსკიმ.

— მაშ ჩვენ ყველანი დავდუღუღავით!— წამოიძახა ჯოზეფსმა.

— მე კი წავალ,— წაიპურღლულა რობერსონმა.

— არა! მიუჭრა კარპინსკიმ,— ვერც ვერ წავა ამ ოთახიდან! ჩვენ უნდა დაუქალდოთ თუ რას გვეტყვის ფერარის. ამ სიტყვებით მან ახიბოდა ამოიღო რევოლვერი და ხელში შეათამაშა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი ეჭვის თვლით ათვალიერებდნენ ერთმანეთს.

— ფერარის, შეიძლება ვერც კი მოახეზოს ჩვენი თვის ნიშნის მოცემა,— იპყნულად იკითხა ვილკამ.

— მოვითმინოთ,— უპასუხა კარპინსკიმ,— მე სავსებით ვენდობი ჩვენს ამხანაგს. მხოლოდ მას შეუძლია გვიხსნას ჩვენ ამ მდგომარეობიდან.













# რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ა

არ ინდობენ ერთმანეთს. საზარელი ღრიალი...  
ბინდმა მხრები აიბერტყა...

კოლამ იმ დროს მიუსწრო თავგანწირულთა  
რაზმს, როდესაც მდროშე დაეცა განგმირული.  
დასტავა დროშას ხელი და... თვალის დახაზ-  
ხამებაში გადაეშვა მტრებში, დაჰკვივლა, ჰბალ-  
მა წრე გააკეთა კამარაში. მოწინააღმდეგე  
შედრკა... ამ ხანში, სოფლის მცხოვრებნი-მო-  
ხუცნი, ბავშვნი, ქალები-ყოველმხრივ, რითაც  
კი შეეძლოთ, უტყეოდენ შემოსეულებს.

აქ იყო ჩვენი ნაცნობი პეტრეც, საიდგანდაც,  
თითქოს დედამიწიდან ამოძვრაო, ანა გამოჩნდა,  
რომელიც ქალებს მოუძლოდა ცუდით და სარზე  
წამოცმულ წითელი თავშლით.

ყოველ მხრივ სცემდენ ყოყინას მტერს, რო-  
მელსაც ეგონა, რომ უკვე ხაფანგში მოემწყვდა,  
შეკრთა. წითლების რაზმი გამხნედა, მათ წინ  
კოლა მიუძლოდა, რომელსაც მხდალად და მოლა-  
ლატედ სთვლიდენ და ვასაკეცებულის ძალით  
გვეთენ მოწინააღმდეგეს...

ღამის წყვედიადმა მოიცვა მიდამო...

შორს ისმოდა ყოყინა და სროლა...

აქ-კი, ორივე მხრის დაქრილთა კენესა, ტან-

ჯვა...

უპატრონოდ დარჩენილი ცხენი დაჰქროდა  
დამფრთხალი ბრძოლის ველზე და იხმოზდა  
ქიხვინით დაკარგულ პატრონს...

დაქრილ-დახოცილთა შორის ცოლები ეძებ-  
დენ ქმრებს, დები ძმებს, დედები შვილებს...  
გონება არეული ბავშვები მოედენენ ტყეს, ქა-  
ლას, მინდვრებს და იხმოზდენ დაკარგულ მშო-  
ბლებს ტირილით...

## XI

წითელი დროშა ამაყად ფრიალებდა განთია-  
დის კაბადონზე და ეგებებოდა დილის სიოსო  
გაითბარა მშათა სასაფლაოები...

მარზარილოსავით გაფითრებული ანა ცალ-  
მუხლზე დაყრდნობილი გაშტერებული ჩაჰყუ-  
რებდა მტრის მიერ დაჩეხილ შვილს, რომელიც  
მკლავზე გადაეწვინა, სულთმობრძავი...

დედა! ამაშორე იუდას სახელი, მიმღერე ის  
ნანა, რომელსაც მუდამ მიმღერდა აკვანში, მე...

ო, გენაცვალოს დედაი; იუდის სახელი შენ  
უკვე მოიშორე შენი გამირობით...

დედა!..

ნანა შეილო, ნანა...

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას...

ნანა შეილო, ნანა...

ეს იყო უკანასკნელი გამომშვიდობება დე-  
და-შვილისა...

ბ. ვრ-ლი.



არღვევს, ამსხვრევს,  
ანადგურებს  
ის ქვეყანას  
ძველს.  
ლხენით ავებს  
მშრომელთ გულებს,  
ქმნის ასპარეზს  
ვრცელს.

ათას თვლებს  
აელვარებს,  
ამოუცნობს  
სპერტს.

ალთქმულ მხარის  
აღებს კარებს,  
სდგამს ელვების  
სვეტს.

წვიმა, ქარი  
ნიალვარი  
ვერ აფერხებს  
მას,

მრისხანე და  
ბობოქარი  
გავს მღელვარე  
ზღვას.

სარდაფები  
კუნძულები,  
ნესტიანი,  
ბნელი,

ყოველ დღიურ  
თავის სტუმრებს  
ვხლა აღარ  
ელის.

\* \* \*

ვილაც სტირის  
კენესის ობრავს:  
„სად გვექნება  
ბინა?“

—გასწით დაბლა  
სარდაფებში  
ჩვენ იქ

მოგვეწყინა:  
იქ ნესტია,  
იქ ბნელია,  
იქ სულისთქა  
სპირდა.

ჩვენ იქ ვიშვით,  
აღვიზარდეთ,  
თვენ აქ

რა გიპირდათ?  
რაო? ნებით  
არ გადახვალთ?

არ ვაგვივთ უარი,  
ნუ აყოვნებთ,  
აბა ჩქარა—  
ღია არის  
კარი.

\* \* \*

მუშა შავი  
გამურული  
სარკის წინ  
ლამაზობს,  
იქ მეორე

ჭვირფასს თუთუნს  
ამზანავს

სთავაზობს.

ერთიც პლუშის  
სავარძელში  
არბინად

ხვრინავს,  
რა პატრონი  
ამას შესქვეერს  
ღელავს, შფოთავს,  
ღრინავს.

ვილაც ამზობს:  
„ეს ნობები  
ნეტავი რა  
ფასობს?“

ერთ კუთხეში  
დადის ქალი,  
დადის და  
კაპასობს:

„ყველაფერი  
გააობრეს  
მტვერიანი  
ფეხით,

მაგრამ ჩქარა  
მხეცებს, ობრებს  
დაატყდება მეხი.  
სულ არ გაწყვეტილა  
ჩვენი შეფის

ჯარი,  
სადაც არის  
მოვლენ, მოვლენ,  
რომ ვიყაროთ ჯ აფრი.

ქმარს ეს სიტყვა  
აღარ სჯერა  
და ცოლს  
აშოშმინებს,  
ის მხდალია.

ყველაფერი  
დღეს აკრობს,  
აშინებს.  
კრძალვით ამზობს:

„ნუ წაგვართმევთ  
ნივთებს,  
პიანინოს“,  
—დარჩეს რაღა,  
აწი მაინც

ჩვენც ვესურს  
მოვიღებინოთ.  
თქვენ? რად გინდათ?  
გსურთ დაუკრათ  
მაგ უხემ

თითებიო?  
—შვილები გვყავს,  
და ვასწავლით,

თქვენ ნუ შესწუხდებით.  
ფეიქრობთ ახალი  
ცხოვრება  
ჩვენს წყულულს

მოაშუშებს,  
და თქვენც ხშირად  
მოიგონებთ  
აღბად თავხედ

მუშებს.  
და გათავდა  
ამით მათი  
მძიმე საუბარი,  
ყოველ მტარვალს

დაეკატა  
თავის სახლის  
კარი.

ბ. მეგლაძე.





# მოგონება დღაზე.

შემიყვარდა...  
 გულში ჩამივარდა...  
 ხმა ტკბილი: ნანინა...  
 მაშინ, როცა მეძინა,  
 დედა ჩემი მღეროდა:  
 შვილო ჩემო! ნანინა!  
 ვილიმებოდი...  
 ძილში ვდნებოდი...  
 უცნაურ სივრცეში ვიკარგებოდი  
 ვხედავდი შობის ხეს...  
 მორთულ ტოკინებს...  
 ვარდებს... ყვავილებს...  
 ძილში მესმოდა შორიდან...  
 უტკბილები ნანინა...  
 ეხლაც, როცა დრომ განვლო,  
 გავიარე ცხოვრების გრძელი გზა,  
 ხშირად... ძალიან ხშირად  
 მესმის შორიდან,  
 დაუვიწყარი ღიღინი:  
 ჩემო შვილო! ნანინა!  
 მხოლოდ ეხლა ის ღიმილი  
 ცრემლებად შემეცვალა.  
 ძილში ვშფოთავ...  
 დედას ვხედავ...  
 მიაღერებ... მიმღერის  
 ნახად თავის ნანინას...  
 ცხოვრების მწარე სიცილი  
 მაიწყდება... ვბრუნდები...  
 მხოლოდ მესმის შორიდან...  
 ტკბილი ჰანგი: ნანინა!

ნა—ზი.

# რეანი პინო-მრეწველობა

საქ. კინო-მრეწველობის სააქც. საზ-ბის მუშაობა 1923 - 1924 წ. განმავლობაში

საქართველოს კინო-მრეწველობის საქციონერო საზოგადოების შექმნის იდეა წარმოიშვა 1923 წელს. ამავე წლის მარტში დამუშავებული იქნა საზოგადოების წესდება, რის შემდეგაც დაიწყო ორგანიზაციული მუშაობა.

საზოგადოების თავმჯდომარეთ არჩეული იქნა განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი, დირექტორებათ კი გერ. გოგიტიძე და ბექნაზაროვი, რომლებმაც ენერგიული და დაუღალავი მუშაობით ფეხზე დააყენეს საქართველოს კინო-წარმოება.



## ბ. გოგიტიძე

საქ. კინო-მრეწვ. სააქც. საზ-ბის გამგედ-დირექტორი

აქციონერების მიერ შემოტანილ საბაიო გადასახადებით შესაძლებელი გახდა დაწყებული სურათების დამთარება და ახალის დადგმა. მუშაობა თანდათან მკვიდრ ნიადაგზე დადგა და ის ფართოთ გაიშალა. დღეს უკვე საქართველოს კინო-მრეწველობა ერთ საუკეთესო წარმოებათ ითვლება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

საქართველოს კინო-მრეწველობის მიერ გამოშვებულ სურათების საერთო მეტრაჟი ამ ეამად უდრის 400.000 მეტრს, ე. ი. დაახლოვებით 266 ვერტს.

მეტრაჟი განაწილებულია შემდეგნაირად:

1. „არსენ ჯორჯიაშვილი“ — 11 ეკზ. 15.000 მეტ.
2. „სურამის ციხე“ — 12 „ 22.000 „
3. „მამის მკვლელი“ — 12 „ 24000 „
4. „ყაჩაღი არსენა“ — 10 „ 19.000 „
5. „მოძღვარი“ — 6 „ 15.000 „
6. „წითელი ეშაქუნები“ — 28 „ 106.000 „
7. „დაკარგული განძი“ — 11 „ 55.000 „
8. „სამი სიციხლე“ — 15 „ 60.000 „
9. „რკინის რაზმი“ — 15 „ 60.000 „
10. „ტარიელ მკლავაძე“ — 15 „ 18.000 „

ამ სურათების დასადგმელად მოწვეულნი იყვნენ საუკეთესო რეჟისორები: ბარსკი, ბექნაზაროვი და პერესტიანი.

მოკლე დროის განმავლობაში საქართველოს კინო-მრეწველობამ შესწლო კინო-წარმოებისათვის საჭირო შემოქმედებითი ძალების გადარჩევა. შექმნილია ტექნიკური პერსონალი, რომელიც აკმაყოფილებს რთულ და

მრავალფეროვან კინო-ხელოვნების ყველა მოთხოვნილებებს. შექმნილია კადრი კინო-სახიობებისა, რომელთა შორის აღსანიშნავია ნატა ვანაძე, ეოზეფი, ქიქოძე, ანჯაფარაძე, ქიაურელი, ესიკოსკი, გელოვანი, ბერიშვილი, ვასაძე, ხორავა, მიქაბერიძე, ყიფიანი და სხვები, რომლებიც ახლო მომავალში ეკრანის თვალსაჩინო ძალებათ გახდებიან.

საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებების მონაწილეობა საქართველოს კინო-მრეწველობაში შემდეგნაირად ხასიათდება: ხუთ სურათში მონაწილეობა მიიღო 290 ქართველმა, 210 რუსმა, 173 სომეხმა, 54 ებრაელმა, 15 მუსლიმანმა და 18 სხვა ერების წარმომადგენლებმა.

საქართველოს კინო-მრეწველობა აწარმოებს ქალ. ტფილისის ოთხ საუკეთესო კინო-თეატრის ექსპლუატაციას, რომელთა ადგილების საერთო რამდენობა უდრის 1700-ს. ამას გარდა მას აქვს ორი ელექტრო-სადგური.

საქართველოს კინო-მრეწველობის წარმოებაში (ამაში შედის მოსკოვის კანტორა) მუშაობს 200 მუშა-მოსამსახურე.

ამას გარდა მასიურ სცენების დადგმაში ყოველთვიურად მონაწილეობას იღებს 150—200 კაცი. ეს ციფრები და აგრეთვე გამოშვებული სურათების მეტრაჟი ხათელ წარმოდგენის იძლევიან საქართველოს კინო-მრეწველობის მუშაობის მისშტაბის შესახებ.



## ბექ-ნაზაროვი

საქ. სახელმწ. კინო-მრეწველობის სააქც. საზო-ბის დირექტორი და რეჟისორი.

ამ ეამად საქართველოს კინო-მრეწველობა მუშაობას აწარმოებს კინო-ფაბრიკის გასაფართოებლათ. სურათების მეტრაჟი, რომელიც თანდათან იზრდება, მოითხოვს ატლეის და ლაბორატორიის გაფართოებას.

ამას გარდა დასმულია საკითხი სპეციალური ტექნიკური მოწყობილობის გაუმჯობესების შესახებ. ეს საკითხი ნაწილობრივ უკვე გადაწყვეტილია. გერმანიიდან მიღებული დიპარტია აპარატებისა და გამანათებელი მოწყობილობისა, რომლებიც უკანასკნელი სიტყვას წარმოადგენენ კინემატოგრაფიული ტექნიკის დარგში. ყველაფერი ეს საშვალბას აძლევს საქართველოს კინო-მრეწველობას გაუმჯობესოს სურათების ღირებულება და თავიდან აიცილოს დეფექტები, რომლებიც აქამდე აუცილებელი იყო სათანადო ტექნიკური მოწყობილობების უქონლობის გამო.

ზ. ბ.

## ვიგვცა.

მით მეორე ვადაარჩინა, მაგრამ... მეორე, ჩვეისთვის მომართული თვითონ მას ხარბათ ხაერტო მკერდში, სადაც ხალხის განუსხვდრელი მოსიყვარულე გული სცემდა, და სასიკვდილოთ დაავდო ძირს...—სოსო მოჰკლეს— წამოიძახა ვილაკამ... თითქოს ეს იყო საჭირო ხალხის გონს მოსასვლელად. წამსვე შესწყვიტეს ალიაქოთი და შეშინებულნი გაექანენ ზოგნი ექიმისაკენ და უმრავლესობა კი შინ.

\*\*\*

დაცარიელდა სათემო, მაგრამ სრულიათ კი არა. ჩამავალი მზე უკანასკნელ, გამოსათხოვარ სხივებს მკრთალდ უთამაშებდა სამ ვეკაცთან ერთად გაშოლტილ, სულთ მობრძავ სოსოს გულზე, რომელსაც ენა ჩავარდნილი, საბრალო დედა, ნახევრან შეშლილი ისე ჩაჰფრენოდა, თითქოს მასთან ერთად უნდა სული დალიოსო...—დედა... შვილო... ვინ მომისპო შენი სიცოცხლე ასე უდროვოთ.— წამოიკენესა დედამ.

სოსო თითქოს დედის ხმამ გამოარკვია.— წამოიწია და ლულულდით წაიბუტბუტა:— დედიკო, მიგდე ყური-არავინ არაა დამნაშავე ჩემო დედი... არავის არაფერი მოეთხოვება... ნუ-ურც მოს-თხოვთ... მხოლოთ ამას გთხოვთ დე-დიკო... ხალხს... ხალხს... შეგანონ... რომ დედას—მათი დამლუპველია-ა. მე კი... მე-ე-ე— ამოიკენესა საბრალო სოსომ, ერთი გაიზმორა, უკანასკნელათ, სასიკვდილოთ გაღებულთ თვალეში ერთჯერ კიდევ გადაავლო ირგვლივ და გულწასულ დედის კალთაზე. სამუდამოთ განუტევა სული...



